თავი 1

ორგანიზაციის მართვის არსი

1. რომელია მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციის დამახასიათებელი ნიშანი:

ა. წევრების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება;

ბ. ზრდა და განვითარების შენარჩუნება;

გ. სახელისუფლებო მიზნები.

2. რის შესაძლებლობებს აძლევს ორგანიზაცია ადამიანებს:

ა. რესურსების გაერთიანების;

ბ. რესურსების მოპოვების;

გ. რესურსების შერჩევის.

3. არამომგებიან ორგანიზაციებს არ მიეკუთვნება:

ა. ჯარი;

ბ. სილამაზის სალონი;

გ. კლუბი.

4. მართვის ინფორმაციული პროცესი გულისხმობს, ინფორმაციის:

ა. ფორმირებას, აღქმას, გადაცემას, დამუშავებას და შენახვას;

ბ. ფორმირებას, დამუშავებას და შენახვას;

გ. მოპოვებას და შენახვას.

5. მართვის ფუნქცია – დაგეგმვა, მიეკუთვნება მართვის შემდეგ სტადიას:

ა. მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებას;

ბ. მიღებული გადაწყვეტილების რეალიზაციას;

გ. კონტროლს.

6. მართვის სტადია – კონტროლი, მოიცავს:

ა. აღრიცხვას;

ბ. დაგეგმვას;

გ. ორგანიზებას.

7. მართვის სტადია – მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება, მოიცავს:

ა. ორგანიზებას;

ბ. პროგნოზირებას;

გ. ანალიზს.

8. მენეჯმენტის მართვის ფუნქციებში ბოლო, დამამთავრებელი ფუნქციაა:

ა. კოორდინაცია;

ბ. ორგანიზება;

გ. კონტროლი.

9. თუ პირი პასუხს აგებს ორგანიზაციის დაგეგმვაზე, თვითონ ასრულებს ამ ფუნქციას და არ ჰყავს ქვეშევრდომები, შეიძლება თუ არა ჩაითვალოს მენეჯერად:

ა. არა, რადგან არა ჰყავს ქვეშევრდომები;

ბ. კი, რადგან თვითონ ასრულებს ამ ფუნქციას;

გ. კი, რადგან თვითონ აგებს პასუხს ამ საქმიანობაზე.

10.რომელ გამინათქვამს ეთანხმებით:

ა. მენეჯერი – ყველაზე იაფი რესურსია და ყველაზე სწრაფად – ძვირდება;

ბ. მენეჯერი – ყველაზე ძვირადღირებული რესურსია და ყველაზე სწრაფად – უფასურდება;

გ. მენეჯერი - ყველაზე ძვირადღირებული რესურსია და ყველაზე სწრაფად – ძვირდება.

11. ხატოვანი გამონათქვამით მენეჯერი შეიძლება შევადაროთ:

ა. კომპოზიტორს;

ბ. ორკესტრის დირიჟორს;

გ. კომპოზიტორსა და დირიჟორს.